1	დემოგრაფიული	<p>სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში წელიწადის განმავლობაში იბადება 44,000 ახალშობილი, რომელიც წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით იზრდება წლიური 2-3%-ით.</p> <p>მოსწავლეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ 25-30,000 -ს აღწევს.</p> <p>სოციალური მდგომარეობა წინა წლებთან მიმარეთებაში გაუმჯობესებულია მომსახურების ცენტრების აქტივობისა და ჯანდაცვის სისტემის რეფორმების საფუძველზე.</p> <p>სამომხმარებლო კალათა გაზრდილია</p>

სტრატეგიული განვითარების გეგმა

		<p>დაახლოებით 5%-ით, რაც გამოწვეულია ინფლაციის მაჩვენებლის ზრდით.</p> <p>შესაბამისად, შემსყიდველუნარიანობამ დაიკლო წინა წლებთან შედარებით. სტატისტიკური მონაცემების პროგნოზი გვიჩვენებს ამ პროცენტული მაჩვენებლების სტაბილურობას.</p> <p>5 წლის განმავლობაში მოსალოდნელია როგორც დემოგრაფიული მაჩვენებლის, ისე ინფლაციის პროცენტული მაჩვენებლის ზრდა, რაც აისახება სკოლის მოსწავლეთა ოჯახების სოციალურ მდგომარეობაზე. რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეების რაოდენობაზე. კერძო სკოლებიდან მოსწავლეთა შესაძლო შემოდინებაზე.</p>
2	საგანმანათლებლო	<p>სკოლამდელ დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმები სავარაუდოდ დადებითად აისახება მომავალი 5 წლის განმავლობაში მისაღებ კონტინენტთა მზაობაზე.</p> <p>ზოგადსაგანმანათლებლო ბაზარზე ტენდენციურად იზრდება კონკურენტუნარიანი სკოლების რაოდენობა და შესაბამისად, შეთავაზებული სასწავლო/ საადმინისტრაციო მომსახურების სპექტრი.</p> <p>ყოველწლიურად, ხდება კერძო სკოლების დონის გაუმჯობესება, რაც მომავალში</p>

სტრატეგიული განვითარების გეგმა

		განაპირობებს კონკურენციის ზრდას.
3	ეკონომიკური	<p>წინა წლებთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 7.2% შეადგინა.</p> <p>პირდაპირი ინვესტიციების ნაკადი წინა წლებთან მიმართებაში ტენდენციურად იზრდება, რაც გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდას, სოციალური პროგრამების დაფინანსებას, საგანმანათლებლო რეფორმის ხელშეწყობასა და მეტი სამუშაო ადგილების შექმნას.</p> <p>ყოველწლიური ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება გამოიწვევს სკოლის პოლიტიკის გადახედვას, რომელიც მორგებული იქნება საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნებსა და მოსწავლეების სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებზე.</p> <p>მომდევნო 6 წლის განმავლობაში, შესაძლებელია გაიზარდოს კერძო სკოლების სწავლების ღირებულება, რაც გამოიწვევს მათ შორის კონკურენციის პირობების შეცვლას.</p>
4	ტექნოლოგიური	<p>სკოლების განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელი მათი ტექნოლოგიური წინსვლაა. სასწავლო-კვლევით თუ ლაბორატორიულ ასპექტებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სულ უფრო იზრდება, რაც გამოიწვევს სკოლებს შორის კონკურენტუნარიანობის შეფასებას</p>

სტრატეგიული განვითარების გეგმა

		<p>არამხოლოდ სასწავლო პროცესის მიხედვით, არამედ მათი ტექნოლოგიური წინსვლით.</p> <p>დასავლური ტენდენციების გავრცელებამ გამოიწვია ტექნოლოგიური გარდატეხა, რომელიც მოითხოვს სკოლის მოსწავლეთა და დასაქმებულთა უნარ-ჩვევების განვითარებას.</p> <p>ვინაიდან ქვეყნის განვითარების უმთავრესი მაჩვენებელი მისი ტექნოლოგიური წინსვლაა, შესაძლებელია დაფინანსდეს STEM-ის მიმართულების საგნების ხელშემწყობი გარემო, პროგრამები და სხვადასხვა პროექტები.</p>
5	პოლიტიკური	<p>ქვეყნის უმთავრეს პრიორიტეტს განათლების სისტემის განვითარება წარმოადგენს, შესაბამისად მომდევნო 6 წლის განმავლობაში სკოლამდელ დაწესებულებებში, საჯაროდა კერძო სკოლებში გაიზრდება განათლების დონე და მოსწავლეთათვის ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა.</p>

SWOT ანალიზი

(1) განსაზღვრავს იმ ძლიერ მხარეებს, რომლებიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას შეუწყობს ხელს;

(2) განსაზღვრავს იმ სუსტ მხარეებს, რომლებიც უნდა გამოსწორდეს, რათა მისიაში მოცემულ მიზნებს მივაღწიოთ;

(3) ადგენს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც აქამდე გამოუყენებელი დარჩა ან რისი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

S (ძლიერი მხარე)	W (სუსტი მხარე)
<ul style="list-style-type: none"> • შინაგანაწესი • პოზიტიური, წამახალისებელი ინფრასტრუქტურა • საჭიროებათა კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი • ინოვაციები/თანამედროვე ტექნოლოგიები/პროგრამები • დისციპლინა • გამორჩეული სასკოლო კულტურა • პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა • ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი • მონიტორინგის სისტემა • მართვა კრიზისულ სიტუაციაში • ადამინაური რესურსი 	<ul style="list-style-type: none"> • ცნობადობა • მშობელთა ჩართულობა • სსსმ მოსწავლეებისთვის სათანადო სასწავლო - სააღმზრდელო პროგრამა და ინფრასტრუქტურის არქონა; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზა • შემოქმედებითი ცხოვრება • დამხმარე პერსონალი • ეკონომიკური საქმიანობა • ფართი • მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონა
O (შესაძლებლობები)	T (საფრთხე)
<ul style="list-style-type: none"> • დევნილთა კომპაქტური ჩასახლება • ჩინური კვარტალის მშენებლობა • უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა • უნივერსიტეტში მიღების წესის შეცვლა • კანონმდებლობა • სოციალური პროგრამები 	<ul style="list-style-type: none"> • ახალი კერძო სკოლის გახსნა • სკოლასთან მისასვლელი ინფრასტრუქტურის მოშლა • კატასტროფების მაღალი რისკი • კანონმდებლობა • მდებარეობა • დემოგრაფია • არაპროგნოზირებად გარემოში საქმიანობა • გლობალიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები

უკეთესად გამოყენება მომავალში შესაძლებელია;

(4) აღმოაჩენს იმ საფრთხეებს, რომელთა თავიდან აცილება დროულად უნდა მოხდეს

სიძლიერე :

სტრატეგიული განვითარების გეგმა

შინაგანაწესი

სკოლას შემუშავებული აქვს შრომის, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებისა და სკოლის შიგნით მოქმედი სპეციალური წესების სამართლებრივი რეგულირების შინაგანაწესი.

შინაგანაწესით განისაზღვრება შემდეგი ძირითადი საკითხები:

- ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო;
- ბ) შრომითი ურთიერთობის წარმოშობა;
- გ) შრომითი ურთიერთობის პირობები;
- დ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი;
- ე) შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
- ვ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/ საბოლოო ანგარიშსწორება;
- ზ) მოსწავლეების ვალდებულებები, წახალისების სისტემა, დისციპლინური გადაცდომა და შესაბამისი სახდელი;
- თ) მატერიალური პასუხისმგებლობა;
- ი) მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, კლასებში მოსწავლეთა გადანაწილების და სკოლიდან გადაყვანის პირობები;
- კ) შრომის პირობების დაცვის წესები;
- ლ) განცხადების/საჩივრის განხილვა;
- მ) სასწავლო პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ფორმები და მექანიზმები;
- ნ) მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლება-მოვალეობანი;
- ო) დასკვნითი დებულებანი;
- პ) შინაგანაწესის თანმხლები დოკუმენტები.

სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლაში შექმნილია პოზიტიური, წამახალისებელი ინფრასტრუქტურა. მოსწავლეებს მოსწონთ და უფრო აქტიურად მას. სკოლაში შემოსული ნებისმიერ ადამიანი აღნიშნავს ამას. მშობლები სკოლის შერჩევას ერთ-ერთ ფაქტორად, სწორედ ამას ასახელებენ. სკოლა აღჭურვილია უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებით, ბიბლიოთეკით, ღია და დახურული სპორტული მოედნებითა და უსაფრთხო და კომფორტული სასწავლო გარემოთი.

სკოლაში გადაწყვეტილებების მიღება ხდება საჭიროებათა კვლევაზე დაფუძნებული შედეგების გათვალისწინებით. სკოლაში ადამინიტრაციის წარმომადგენლებს აქვთ შესაბამისი კომპეტენციები თავად ჩაატარონ პრაქტიკული კვლევები და გაუწიონ დახმარება სხვა თანამშრომლებს აწარმოონ საკუთარი პრაქტიკის კვლევა.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

სკოლაში პრიორიტეტია თანამედროვე ტექნოლოგიები, ინოვაციური სწავლა-სწავლების მეთოდები და პროგრამები. თანხების მობილიზება და ხარჯვა ხდება სწორედ ამ მიმართულებით. შედეგად, სასწავლო პროცესი არის 21-ე საუკუნის მოსწავლის საჭიროებებზე და უნარებზე მორგებული. იგი ემსახურება კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების აღზრდა-განათლებას.

სკოლაში შემუშავებულია და დანერგილია ქვევის წესები. შინაგანაწესის დარღვევები მინიმალურია. არ რჩება რეაგირების გარეშე არც ერთი გადაცდომა. შემუშავებულია და დანერგილია პრევენციული ღონისძიებები.

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა, რაც ხელს უწყობს სიახლეების დანერგვას, სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხს და პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებას. თანამშრომლობითი კულტურა ხელს გვიწყობს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ფორმების ეფექტურ და ეფექტიან გამოყენებას; სკოლის როგორც, თვითგანვითარებადი თვითსწავლადი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას.

სკოლას აქვს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე დაეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო პროგრამები. მოსწავლეები იღებენ როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ განათლებას. სასწავლო პროგრამები შემუშავებულია იმგვარად, რომ მოსწავლე უზრუნველყოს ზოგადი ცოდნით, განუვითაროს წერითი კომუნიკაციის,

სკოლაში კათედრები და ადმინისტრაცია, მასწავლებლებთან საჭიროებების მიხედვით გეგმავს და ახორციელებს პროფესიული განვითარების ღონისძიებებს. საჭიროების შემთხვევაში ვიყენებთ მასწავლებლის სახლის დახმარებას.

შემუშავებულია ბიბლიოთეკარის სტანდარტი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკა მდიდარია წიგნადი ფონდით. მუშაობს სამკითხველო. წიგნების შეძენა ხორციელდება ისგ-ს საჭიროებიდან გამომდინარე კათედრის ხელმძღვანელების რეკომენდაციების საფუძველზე.

სკოლაში შემუშავებულია სასწავლო პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ფორმები და მექანიზმები:

სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები;

1. სკოლა იყენებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის შემდეგ ფორმებს:

სტრატეგიული განვითარების გეგმა

- ა) მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება სხვადასხვა ფორმით, სადიაგნოსტიკო ტესტი, ინტეგრირებული წერა, და სხვ.
- ბ) სამოდულო გაკვეთილების ორგანიზება, გამოყენებული აქტივობების/მეთოდების, შედეგების და ა.შ. კათედრის სხდომაზე განხილვა.
- გ) სკოლაში მიმდინარე სააღმზრდელო-სასწავლო პროცესის და დირექციისა და მასწავლებელთა მუშაობის გამჭირვალობის მიზნით, შესაძლებელია, დირექციისა და მშობლების ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში, დაინტერესებული პირის ჩართვა სააღმზრდელო-სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.
- დ) გაკვეთილზე დასწრება (წინასწარი შეთანხმებით) და გაკვეთილის კრიტიკულ-კონსტრუქციული ანალიზი.
- ე) გაკვეთილზე დასწრება (წინასწარი შეთანხმების გარეშე) და გაკვეთილის კრიტიკულ-კონსტრუქციული ანალიზი.
- ვ) სასწავლო პროცესის სხვადასხვა მიმართულების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად კვლევების, მათ შორის პრაქტიკული კვლევების, ჩატარება;
- ზ) შემაჯამებელი სამუშაოების ტიპების და საკითხების მუდმივი მონიტორინგი;
- თ) მოსწავლეთა შეფასების რუბრიკების შექმნისა და გამოყენების მუდმივი მონიტორინგი;
- ი) კონკრეტული მოსწავლეების (უპირველეს ყოვლისა, იგულისხმებიან ის მოსწავლეები, რომლებიც დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან და რეალური საფრთხის წინაშე დგანან, რომ არ ექნებათ დადებითი შეფასება) საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული გეგმის შემუშავება (საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის და მშობლის ჩართულობით) და ამ გეგმის განხორციელების მუდმივი მონიტორინგი;
- კ) მოსწავლეთა უკუკავშირის მიღება და მისი ანალიზი (მონაცემთა შეგროვების მეთოდები: გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვ.);
- ლ) მშობელთა უკუკავშირის მიღება და მისი ანალიზი (მონაცემთა შეგროვების მეთოდები: გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვ.);
- მ) სკოლაში დასაქმებულ პირთა პროფესიული საჭიროებების დადგენა, მისი ანალიზი და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება.
- ნ) სკოლაში დასაქმებულ პირთა მხრიდან შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა. მოთხოვნისამებრ.
- ო) SWOT ანალიზი;
- პ) სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პირთა (გარდა პედაგოგების) და აგრეთვე ეკონომიკური შემოსავლებიდან დაქირავებულ პირთა საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი მობილური ჯგუფის მიერ (რომელიც დაკომპლექტდება როტაციის პრინციპით).

სტრატეგიული განვითარების გეგმა

სასწავლო პროცესის შეფასების ფორმები:

1. სკოლის დირექცია სამოქმედო და სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში შეიმუშავებს: მოსწავლის ცოდნის შეფასების/თვითშეფასების ფორმას; სასწავლო წლის განმავლობაში ოთხჯერ, სდანიდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგების შუალედური და ფინალური ანალიზის ფორმას; დასაქმებულ პირთა შეფასების/თვითშეფასების ფორმას; მოსწავლეზე, მასწავლებელზე და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებზე დაკვირვების, რაც გულისხმობს შინაგანაწესის, შრომითი ხელშეკრულების, მასწავლებლის პროფესიული სდანიდარტის, ეთიკის კოდექსის, დირექტორის ბრძანების და სხვა შესრულებას და ხარისხის მონიტორინგის ფორმას; შეფასების შედეგების დემონსტრირების წესს, სიხშირეს, მახასიათებლებისა და გაზომვადი მაჩვენებლების ფორმას.
2. სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მართვას, მონიტორინგს, შეფასებას ახორციელებს სკოლის დირექცია ან დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი/ჯგუფი.
3. აღნიშნული აქტივობები დეტალურად გაწერილია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

სკოლა კატასტროფების რისკის მართვის საპილოტე პროგრამაშია ჩართული. შემუშავებულია საევაკუაციო გეგმა. შექმნილია შტაბი და გადამზადებულია კადრები. გააზრებული გვაქვს კრიზისების მართვის არსი და მიმდინარეობს კრიზისების მართვის პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა.

სკოლაში შემუშავებულია და დანერგილია თანამშრომელთა შერჩევის წესი. მაქსიმალურად ვცდილობთ სკოლაში მაღალკვალიფიციური კადრის დასაქმებას და არსებულის განვითარებას.

საფრთხე

სკოლისთვის საფრთხეა მის მახლობლად ახალი კერძო სკოლის გახსნა. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს მოსწავლეთა გადინება. ვინაიდან ადგილმდებარეობა ჩვენი საფრთხეა, შესაბამისად სკოლასთან მისასვლელი ინფრასტრუქტურის მოშლა. კატასტროფების მაღალი რისკი შეიძლება ჩვენთვის აღმოჩნდეს საფრთხე და შევეცდებით ეს რისკი ვმართოთ იმ ცოდნის და უნარების გამოყენებით, რომელსაც ვიღებთ საპილოტე პროგრამის ფარგლებში. იმ შემთხვევაში თუ შეიცვლება კანონმდებლობა იმგვარად, რომ მოხდება სკოლების ცენტრალიზაცია, ეს შეიძლება ჩვენთვის საფრთხე აღმოჩნდეს.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

ჩვენი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, დემოგრაფია შესაძლებელია საფრთხე აღმოჩნდეს.

გლობალიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები და არაპროგნოზირებად გარემოში საქმიანობა, ნებისმიერი ორგანიზაციისთვის რისკია, თუმცა სამოქმედო გეგმის რეალისტური, ოპტიმისტური, პესიმისტური სცენარით გათვლა, რისკების მართვის საშუალებას მოგვცემს.

შესაძლებლობები

დენილთა კომპაქტური ჩასახლება ჩვენი სკოლისთვის შესაძლებლობაა მოვიზიდოთ მეტი ბავშვი. ასევე ჩინური კვარტალის მშენებლობა შესაძლებლობაა ჩვენი მოსწავლეებისთვის დასაქმდნენ, რადგან ჩვენი სკოლის მოსწავლეებს უფასოდ ვთავაზობთ ჩინური ენის შესწავლას.

უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა საშალებას გვაძლევს მოსწავლეებმა გამოიყენონ მათი ბაზები.

უნივერსიტეტში მიღების წესის შეცვლა ჩვენი მოსწავლეებისთვის გახდება შესაძლებლობა, რადგან ჩვენი სკოლა მაქსიმალურად ორიენტირებულია დასავლური განათლების პრინციპებზე. ჩვენი მოსწავლეები ჩართულები თანამშრომლობენ წითელ ჯვართან, სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად განივითარონ სოციალური უნარები.

სისუსტეები

ისევე როგორც სხვა სკოლებში, ჩვენთანაც პრობლემაა მშობელთა ჩართულობა, სსსმ მოსწავლეებისთვის სათანადო სასწავლო -სააღმზრდელო პროგრამა და ინფრასტრუქტურის არქონა; სასურველია, რომ სკოლას უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდეს. სკოლას არ ჰყავს დამხმარე პერსონალი ისეთი რაოდენობით, რაც აუცილებელია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე გასასვლელად. არ გვყავს სკოლაში ორგანიზატორი, ადამიანი, რომელიც დაკავებული იქნებოდა მოსწავლეთა თვითმმართველობასთან მუშაობით. ეს ეტყობა სკოლის შემოქმედებითი ცხოვრებას. ადგილმდებარეობის და სკოლის ფართის გამო, სკოლა ნაკლებად საინტერესოა მეწარმეებისთვის, შესაბამისად ეკონომიკური საქმიანობა ჩვენი სუსტი მხარეა.

ასევე, ჩვენი პრობლემაა მოსწავლეთა ოჯახების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც აისახება კიდევ მათი განვითარების უახლოეს ზონაზე.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა სკოლის ცნობადობის ამაღლების მიზნით, ეს საკითხი მაინც რჩება სკოლის სუსტ მხარედ.

დაინტერესებული მხარეების, კონკურენტების და პარტნიორების საქმიანობის ანალიზი

სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ როგორც ფიზიკური პირები - საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეები, ასევე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები: სახელმწიფო და კერძო ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლა თანამშრომლობს სხვა საჯარო სკოლებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მის მიერ დაფუძნებულ ცენტრებთან: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან და სხვა), სახელმწიფო უწყებებთან - ფინანსთა სამინისტროსთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა.

გარე პარტნიორებს (ბიზნეს სექტორი, ქართული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები/ასოციაციები და სამოქალაქო საზოგადოება) სკოლა განიხილავს როგორც შუამავალს მათსა და სკოლის ბენეფიციარებს შორის. ხოლო მედია ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და ინფორმაციის გავრცელებას. სამოქალაქო საზოგადოება მოიაზრება როგორც სკოლის მნიშვნელოვანი პარტნიორი სკოლის სტრატეგიის ფორმირების პროცესში.

სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლა მიზნად ისახავს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას. ამ მიზნით სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, სახელმწიფო უწყებებთან, უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. განსაკუთრებული ადგილი უკავია

სტრატეგიული განვითარების გეგმა

სკოლისა და განათლების სფეროში მომუშავე იმ საერთაშორისო ქსელებთან (ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA - Georgia), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID, გაეროს ბავშთა ფონდი (UNICEF) გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) და ევროპის კავშირის პროექტებთან (Erasmus Mundus, TEMPUS) კავშირებს, რომლებსაც სტრატეგიის დანერგვისა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის პროცესში, იგი განიხილავს როგორც სტრატეგიულ პარტნიორებს.

კონკურენტა ანალიზი

სკოლის სტრატეგიის განვითარებისა და მისი მიზნების მისაღწევად ძირითად კომპონენტს წარმოადგენს კონკურენტული გარემოს შესწავლა და მისი გამომწვევი ფაქტორების ანალიზი. გარდა ამისა, სკოლა წარმატებულია მაშინ, როდესაც მას აქვს კარგად შემუშავებული სტრატეგიული გეგმა. ეს პროცესი მას საშუალებას აძლევს ზუსტად და მიზნობრივად გათვალისწინოს მისი პირდაპირი კონკურენტების რაოდენობა და თავიდან აიცილოს მოსალოდნელი საფრთხეები. იმისათვის, რომ შეიქმნას ჯანსაღი კონკურენტული გარემო, საჭიროა შეისწავლილ იქნას კონკურენტი სკოლები, განისაზღვროს მათი სტრატეგია და აქტივობები, რომელიც მას პირდაპირ კონკურენციას უწევს. აგრეთვე,

ობიექტურად შეაფასონ საკუთარი პოზიცია, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, და სხვა რელევანტური ინფორმაცია.

სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლა ბაზარზე იკავებს მნიშვნელოვან და კონკურენტუნარიან პოზიციას, რაც გამოწვეულია, მისი მრავალმხრივი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი და მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროცესითა და სხვა აქტივობებით. გარდა ამისა,

სკოლასა გააჩნია კარგად გაწერილი სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, განხორციელებული საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს მიზნის მიღწევის რელევანტურობას. გარდა ამისა, საკუთარი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის რაოდენობრივი შეფასება შესაძლებლობას გვაძლევს მიზნობრივად შევაფასოთ კონკურენტი სკოლების სამოქმედო გეგმა დამოუკიდებლად მისი ანალიზი. სკოლა ახორციელებს საბაზრო მოთხოვნებისა და კონიუქტურის შესწავლას, რომელიც განაპირობებს ყოველწლიურად მიდგომების ცვლილებას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და მოსწავლეებისთვის გაცილებით ხარისხიანი მომსახურების

სტრატეგიული განვითარების გეგმა

შეთავაზობას.

ზოგადსაგანმანათლებლო ბაზარზე კუნკურენტთა ანალიზის ფარგლებში ხდება სხვა სასწავლო დაწესებულებების განვითარების შეფასება. მიმდინარე პროცესი ზუსტად აღწერს წარმოქმნილ ცვლილებებს, პირდაპირი და არაპირდაპირი კონკურტენტების განვითარების დონეს, მარკეტინგისა და საგანმანათლებლო სერვისების ზრდას, რომელიც მოვლენების რეალისტური, ოპტიმისტური ან პესიმისტური სცენარით შესაძლო განვითარების გათვალისწინებით, გავლენას ახდენს სკოლის ტაქტიკური გეგმის შემუშავებაზე.



The school of contemporary education

სტრატეგიული განვითარების გეგმა

სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის კონკურენტი სკოლები

(გათვალისწინებულია 2015 წლის საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული

კერძო და საჯარო სკოლები)

პირდაპირი კონკურენტები:

1. თბილისის #83 საჯარო სკოლა
2. თბილისის #124 საჯარო სკოლა
3. თბილისის #106 საჯარო სკოლა
4. თბილისის #97 საჯარო სკოლა
5. თბილისის #94 საჯარო სკოლა
6. თბილისის #131 საჯარო სკოლა
7. კერძო სკოლა „დავითიანი“
8. კერძო სკოლა „მოდვარი“
9. კერძო სკოლა „შაენაზადა“
10. თბილისის #191 საჯარო სკოლა (კომაროვი)

არაპირდაპირი კონკურენტები:

1. ნებისმიერი საჯარო და კერძო სკოლა
ჩამოთვლილი კონკურენტებიდან, ჩვენ განვიხილავთ პირდაპირ და მთავარ კონკურენტად ერთ-ერთს, თბილისის #83-ე საჯარო სკოლას.

The school of contemporary education

სტრატეგიული განვითარების გეგმა

პირდაპირი კონკურენტი სკოლის SWOT ანალიზი

S (ძლიერი მხარე)	W (სუსტი მხარე)
<ul style="list-style-type: none"> • მდებარეობა • ტრადიციები • დისციპლინა • PR 	<ul style="list-style-type: none"> • სწავლება-სწავლის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; • სსსმ მოსწავლეებისთვის სათანადო სასწავლო - სააღმზრდელო პროგრამა და ინფრასტრუქტურის არქონა; • საინფორმაციო არხები • ტექნოლოგიები • ორცვლიანი სწავლა
O (შესაძლებლობები)	T (საფრთხე)
<ul style="list-style-type: none"> • დევნილთა კომპაქტური ჩასახლება • კანონმდებლობა • ინფრასტრუქტურის განვითარება • კონკურენტების სისუსტე 	<ul style="list-style-type: none"> • სკოლის დირექტორის შეცვლა • კანონმდებლობა • დემოგრაფია • არაპროგნოზირებად გარემოში საქმიანობა • მართვა კრიზისულ სიტუაციაში • გლობალიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები

საჯარო სკოლას არჩეული აქვს ერთჯერადი და მუდმივი გეგმებით მართვის სტრატეგია. ერთჯერადი გეგმების შემუშავება ხდება ისეთი მიზნების მისაღწევად, რომელთა გამეორება მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

(ერთჯერად გეგმების მაგალითია კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად გათვალისწინებული პროექტები).

სტრატეგიული განვითარების გეგმა

მუდმივი გეგმები საჭიროა განმეორებადი მიზნებისა და სამუშაო დავალებების კოორდინაციისათვის, დასახული ქმედებების მართვისათვის და დროის დათქმულ პერიოდში სამუშაოს განხორციელებისათვის.

(მუდმივ გეგმებს შორის აღსანიშნავია ორგანიზაციის პოლიტიკა, მიღებული წესები და პროცედურები).

საორგანიზაციო კულტურა

სკოლაში მოქმედებს ძალაუფლების, ანუ იერარქიული კულტურა:

დომინირებულ როლს ასრულებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც ძლიერ გავლენას ახდენს თავის თანამშრომლებზე. მცირეა ფორმალური წესები, მაგრამ მოქმედებს არაფორმალური სახით მკაცრი ქცევის კოდექსი. გამოირჩევა გადაწყვეტილებების მიღების სისწრაფით.

კონკურენტი სკოლის ანალიზი და რაოდენობრივი შეფასება იძლევა მისი სისუსტეების გამოყენების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს:

შეტვის განხორციელება იმ გეოგრაფიულ რეგიონებზე, სადაც კონკურენტი ყველაზე სუსტად გრძნობს თავს;

აგრეთვე ყურადღების გამახვილება ბაზრის იმ სეგმენტებზე, სადაც კონკურენტს აქვს გარკვეული ჩამორჩენა, ამ შემთხვევაში ტექნოლოგიები, მოტივაცია და სხვა. ამ კონტექსტში უპრიანია მომხმარებლებისათვის ისეთი სწავლა-სწავლების მეთოდების შეთავაზება, რომელიც უფრო ნათლად წარმოაჩენს კონკურენტების ჩამორჩენას.

ვინაიდან კონკურენტი სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ძალიან კარგად იცნობენ ერთმანეთს, აკავშირებთ ერთმანეთთან სხვადასხვა გარემოებები, ამიტომ შეიძლება განხილულ იქნას შემოვლითი მანევრის გამოყენებაც, რომლებიც გათვალისწინებულია კონკურენტებთან პირისპირ შეჯახების თავიდან აცილების მიზნით.

უმთავრესი იდეაა კონკურენტის სიახლოვეს მანევრირება და მის მიერ ბაზრის აუთვისებელი სეგმენტების დაკავება; როდესაც მოხდება კონკურენტების სუსტი მხარეების გამოვლენა, უნდა მოხდეს სათანადო ქმედებების გატარება.

თბილისის #82-ე საჯარო სკოლის მიერ დიზაინის სკოლის პრინციპების გათვალისწინებით

სტრატეგიული განვითარების გეგმა

სტრატეგიის ფორმირება ხელს შეუწყობს დასახული მიზნების მიღწევაში.

სტრატეგიის შეფასება

მიმდევრობა _ სტრატეგია არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებსა და პროგრამებს.

შეთანხმებულობა _ სტრატეგია ითვალისწინებს ადაპტურ რეაქციას გარე ზემოქმედებებზე და მიმდინარე ცვლილებებზე.

უპირატესობა _ სტრატეგია უზრუნველყოფდეს შემოქმედებითი საქმიანობის პირობებსა და კონკურენტულ უპირატესობებს არჩეულ სფეროში.

განხორციელებადობა _ სტრატეგია არ არის ძვირი და არ მოითხოვს ზედმეტი რესურსების ხარჯვას, ამავდროულად არ ქმნის გადაუწყვეტელ პრობლემებს.

The school of contemporary education

სტრატეგიული განვითარების გეგმა

სტრატეგიული მიზნებისათვის მისაღწევი საჭირო რესურსები

სასწავლო პროგრამები

სკოლის მისია, მიზნები და განხორციელების გზები შეესაბამება სკოლის განვითარების სტრატეგიას.

ბიბლიოთეკა- ბიბლიოთეკა მოსწავლეებს და თანამშრომლებს სთავაზობს სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის კოლექციას, ასევე ელექტრონული წიგნებისა და ჟურნალებს, ბიბლიოთეკაში მოიპოვება 10 000-მდე წიგნი, 20 ადგილიანი სამკითხველო დარბაზი და კომპიუტერებით აღჭურვილი სპეციალიზირებული ოთახები. იგი მთლიანად უზრუნველყოფილია 24 საათიანი ინტერნეტით.

სკოლის ბიბლიოთეკა ღიაა ყველა დაინტერესებული პირისათვის. ბიბლიოთეკის განვითარება მოიცავს არსებული ფართის კიდევ უფრო კეთილმოწყობას და დამატებითი სასწავლო-სამეცნიერო წიგნების კოლექციის გამდიდრებას. ბიბლიოთეკის ეფექტური გამოყენება მოიცავს მოსწავლეების უახლესი საგანმანათლებლო მასალით მომარაგებას, რაც მათ დაეხმარება როგორც საჭირო თეორიული ცოდნის გაღრმავებაში, ასევე უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

ლაბორატორიები- სკოლა აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და უახლესი ლაბორატორიებით. ყველა მოსწავლე, თეორიული ცოდნის მიღების პარალელურად, გადის პრაქტიკულ სამუშაოებს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა რესურსის გამოყენებას. ლაბორატორიებში მუშაობა მოსწავლეებს ეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც ხელს უწყობს შესწავლილი პროგრამის გაღრმავებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას. სწორედ, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სამუშაოების სინთეზის საფუძველზე, სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლა გახდა ლიდერი საჯარო სკოლებში ინოვაციური სწავლა-სწავლების მიდგომებით.

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი ლაბორატორიები:

- ფიზიკის ვირტუალური და რეალურ ვირტუალური ლაბორატორია

სტრატეგიული განვითარების გეგმა

- აინშტაინის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის ლაბორატორია
- სმარტ-დაფის ოთახი
- კომპიუტერული ლაბორატორია

ლაბორატორიების სამომავლო განვითარების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სკოლის საჭირო ტექნიკით აღჭურვას, რაც გაუადვილებს მოსწავლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გაღრმავებას.

სპორტული მოედნები - სკოლის ერთ-ერთი უმნიშველოვანესი პრიორიტეტია ხელი შეუწყოს მოსწავლეებს როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკურ განვითარებას. ღია და დახურული სპორტული მოედნები, სადაც სკოლის სპორტული აქტივობები ტარდება, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. იმისათვის რომ სპორტული მოედნები მაქსიმალურად ეფექტურად იყოს გამოყენებული და არ მოხდეს მათი უქმად მოცდენა, გარდა იმ საათებისა, როდესაც მოედანი ეთმობა სკოლის მოსწავლეების სპორტულ აქტივობებს, დანარჩენ დროს ვგეგმავთ მის დროებით გაქირავებას.

სააქტო დარბაზი- სკოლაში ფუნქციონირებს სააქტო დარბაზი, რომლებიც ემსახურება როგორც სკოლის მოსწავლეებს და თანამშრომლებს ასევე ქირავდება დამატებითი ფინანსების მოძიების მიზნით. იგეგმება მისი რეაბილიტაცია.

სამედიცინო ოთახი- რომელიც ემსახურება სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს. მაღალკვალიფიციური ექიმი ნებისმიერ მსურველს უწევს კონსულტაციასა და საჭირო სამედიცინო დახმარებას.

რესურს ოთახი- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის შექმნილი გარემო, სადაც მოსწავლეები იღებენ საკუთარ საჭიროებაზე მორგებულ მომსახურებას.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

ფინანსური რესურსები

სკოლის მთავარ ფინანსურ რესურსს სახელმწიფო დაფინანსება წარმოადგენს. შემოსავალი ცვალებადია, რადგან წლების განმავლობაში იცვლება არამხოლოდ მოსწავლეთა რაოდენობა, არამედ სხვადასხვა პროგრამული დაფინანსებები. სკოლას ასევე აქვს დამატებითი მომსახურების ობიექტები.

დამატებითი ფინანსური შემოსავლის წყაროებია:

- ✓ კერძო პირთა, ან ორგანიზაციათა შემოწირულობები
- ✓ სხვადასხვა გრანტები
- ✓ ფართის გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავალი
- ✓ დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო/სააღმზრდელო მომსახურება

ადამიანური რესურსი

ადამიანური რესურსი

სკოლის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი - ადამიანური რესურსია.

სკოლა ამაყობს თავისი მაღალკვალიფიციური პედაგოგებით, რომელიც თვითგანვითარებაზე არიან ორიენტირებულნი.

სკოლა ზრუნავს თანამშრომლებისა და მოსწავლეთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესებაზე. ვცდილობთ შევქმნათ და შევინარჩუნოთ კომფორტული, ჯანსაღი და საერთაშორისო

სტრატეგიული განვითარების გეგმა

სტანდარტებთან მიახლოებული გარემო.

სკოლა ცდილობს გააღრმავოს და წარმოაჩინოს მის სივრცეში მოღვაწე ტალანტები.

სკოლაში მოქმედებს თანამშრომელთა მიღების, წახალისების, განხორციელებული მუშაობის მონიტორინგის ობიექტური მექანიზმები. სკოლაში დასაქმებულია საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა პედაგოგი.

სკოლა:

- ✓ ზრუნავს მოსწავლეების და თანამშრომლების კმაყოფილების დონის შენარჩუნებაზე;
- ✓ ცდილობს შეუქმნას კომფორტული, ჯანსაღი, უსაფრთხო გარემო მის სივრცეში მოღვაწე პიროვნებებს;
- ✓ ეხმარება თანამშრომლებს კარიერულ წინსვლაში, ასევე მის სივრცეში შანსს აძლევს სტუდენტებს გაიარონ სასწავლო პრაქტიკა;
- ✓ აფინანსებს მოსწავლეების მიერ შემუშავებულ პროექტებს;
- ✓ აწყობს საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით ღონისძიებებს, რომ გამყარდეს ურთიერთობა, როგორც თანამშრომლებს ასევე მოსწავლეებს შორის.
- ✓ სკოლაში დირექცია დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით;

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგული კამპანიის

სტრატეგია

სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის გრძელვადიან ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების ცნობიერებაში სკოლის, როგორც ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების მომწოდებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაციის დამკვიდრება. მისი იდენტიფიცირება უნდა ხდებოდეს პოტენციურ მომხმარებლებში, როგორც სასწავლო დაწესებულება, რომელიც აწვდის უფრო მეტს, ვიდრე ხარისხიანი განათლებაა.

სკოლა აცხადებს პრეტენზიას 21-ე საუკუნის უნარებზე ორიენტირებულ განათლებაზე,

სტრატეგიული განვითარების გეგმა

რადგან ვთვლით, რომ ის არის უპირველესი გზამკვლევი წარმატებული მომავლისკენ. სწორედ ამ მიზნით იქნა შერჩეული სლოგანი - „თანადროული განათლების სკოლა“ და მომდევნო წლების განმავლობაში იგი არ შეიცვლება.

გრძელვადიანი მარკეტინგული ამოცანა:

- გახდეს ადგილობრივ ბაზარზე უფრო ცნობადი სკოლა;
- შესთავაზოს მომხმარებლებს ხელმისაწვდომი, ხარისხიანი განათლება;
- დაიმკვიდროს საგანმანათლებლო ბაზარზე ხარისხიანი განათლების მიწოდების დაწესებულების პოზიცია;
- შენარჩუნდეს მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა კმაყოფილების დონე;
- თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციის დანერგვა;
- სასწავლო პროგრამების სპექტრის გაფართოვება;
- მართვის პროცესის დახვეწა;

გრძელვადიან სამარკეტინგო კომუნიკაციის არხებს წარმოადგენს:

- ვებ-გვერდი და სოციალური მარკეტინგი;
- სტრატეგიული ალიანსები (ადგილობრივი და საერთაშორისო);
- ღონისძიებების მართვა;
- ბეჭდური ;
- ადგილობრივი რადიო;
- სასწავლო პროცესში დისტანციური დახმარების პლატფორმა.

სეგმენტირებული საზოგადოებასთან ურთიერთობის არხები:

სტრატეგიული განვითარების გეგმა

ზოგადი	პოტენციური პირველკლასელები	მოსწავლეები	კურსდამთავრებულები
• ვებ-გვერდი	. პირდაპირი	. თვითმმართველი	. კურსდამთავრ
• რადიო	მარკეტინგი	კლუბები	ებულთა ბაზა
• პრესა	(ბალებში	. სასკოლო	. ღონისძიებები
. სოციალური ქსელები	ვიზიტი)	გაზეთი	შეხვედრები
• გარე რეკლამა	. საზაფხულო ბანაკები	. ვებ-გვერდი	. მასწავლებელთა
	. ოლიმპიადები	. ონლაინ მართვის სისტემა	სოციალური ქსელი
	. ბროშურები	. სტიპენდიები	. ინტელექტუა
	. პირდაპირი მეილები	. ოლიმპიადები	ლური შეჯიბრი
	. გასართობ-შემეცნებითი	. გასართობ-შემეცნებითი აქტივობები	
	ღონისძიებები	. ტრენინგები,	
	. სპორტული აქტივობები	კონფერენციები	
	. ღია კარის დღეები	სემინარები	
. ვებ-გვერდი	. საორიენტაციო დღეები		

პირდაპირი მომხმარებლები: მოსწავლეები, თანამშრომლები,

არაპირდაპირი მომხმარებლები: სკოლის მოსწავლეთა მშობლები, ბაღის დირექტორები და პედაგოგები, სამეწარმეო თუ არასამეწარმეო

სტრატეგიული განვითარების გეგმა

ორგანიზაციები და კურსდამთავრებულები.

ძირითადი სამარკეტინგო კომუნიკაციის არხები:

ელექტრონული საინფორმაციო ბაზა;

სოციალური ქსელის მეშვეობით სკოლა გაავრცელებს საჭირო ინფორმაციას ღონისძიებებთან, საგანმანათლებლო პროგრამებთან და სტუდენტურ აქტივობებთან დაკავშირებით, როგორც სტუდენტებში, ისე კურსდამთავრებულთა შორის.

მეილები, სატელეფონო კავშირი, SMS ინფორმაცია;

მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა ცენტრალური საინფორმაციო ბაზის მეშვეობით, სადაც მოცემულია თითოეული პირის საკონტაქტო ინფორმაცია, გავრცელდება ყველა საჭირო სიახლე მოსწავლეთა მოსაზიდად.

რეგულარულად აღსანიშნავი ღონისძიებები (ახალი წელი, დამოუკიდებლობის დღე, შემოდგომის გაცილება, საზაფხულო ფესტივალი, დამამთავრებელი ცერემონიალი, პირველკლასელთა დახვედრა, ბავშვთა დაცვის დღე და სხვა);

აღნიშნული შეხვედრები იმართება რეგულარულად (წელიწადში ერთხელ) და იგი ხელს უწყობს საბავშვო ბალების დირექტორებს, კურსდამთავრებულთა და მოსწავლეთა შორის მჭიდრო კავშირის დამყარებას.

კორპორაციული ღონისძიებები

სკოლის შესახებ ფართო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისათვის გამოიყენება მასობრივი კომუნიკაციის არხები.

➤ სოციალური ქსელებისა და ვებ-მარკეტინგი ; თანამედროვე ონლაინ ტექნოლოგიები, სულ უფრო მეტ მომხმარებელს იზიდავს

სტრატეგიული განვითარების გეგმა

ინტერნეტ სივრცეში. სოციალური ქსელებისა და სკოლის ვებ-გვერდი, მიზნად ისახავს მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციის დროულ გავრცელებასა და მიწოდებას. აგრეთვე, ძიების ოპტიმიზაციის მეშვეობით, გაიზრდება სკოლის ვებ-გვერდის ცნობადობა როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე.

- ინტელექტუალური შეჯიბრი, ოლიმპიადები, სპორტული ტურნირები, კორპორატიული სპორტული აქტივობები;

სასწავლო პროცესის პარალელურად, მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა სპორტული, საგანმანათლებლო თუ გასართობი ღონისძიებები. მოსწავლეთა მოსაზიდად ხშირად გამოიყენება აღნიშნული ტექნიკა, რომელიც სასკოლო ცხოვრებას უფრო ნათლად წარმოაჩენს. თანამშრომელთა შორის გუნდური მუშაობის განვითარებისათვის, გაიმართება სხვადასხვა სპორტული და განსატვირთი ღონისძიებები.

- ღია კარის დღეები; მოსწავლეთა და მშობელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი საკომუნიკაციო არხი

- სემინარები, კონფერენციები და პროექტის პრეზენტაციები. იმართება სხვადასხვა კონფერენციები, სემინარები და პროექტის პრეზენტაციები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების ვერბალური და წერიტი უნარების განვითარებას, ასევე ანალიტიკურ აზროვნებასა და ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობას.

კვლევები:

სკოლის ყველა აქტივობა იზომება რეგულარული პრაქტიკული კვლევების ჩატარების საფუძველზე.

მონაცემთა რეგულარული შეგროვება:

- კონკურენტთა ანალიზი - მიღწევების შედეგების მიხედვით.
- კურსდამთავრებულთა წარმატების სტატისტიკა - სატელეფონო გამოკითხვის მეშვეობით.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

- მარკეტინგული და პიარ არხების ეფექტურობის კვლევა - მოსწავლეთა შორის ონლაინ გამოკითხვა გამოყენებული საკომუნიკაციო არხების ეფექტურობის შეფასებაზე.
- მოსწავლეთა მოლოდინის კვლევა - ახალი მოსწავლეების, მშობლების, თანამშრომლების ონლაინ გამოკითხვა, რომელიც ავლენს მოლოდინსა და სკოლაში სწავლის მოტივაციას.
- სხვა მოსწავლეთა აზრის კვლევა
- ბალის აღსაზრდელთა მშობლების კვლევა - დარიგებული კითხვარის მეშვეობით წინასწარი შედეგისა და ბრენდ ლოიალურობის განსაზღვრა.
- მშობელთა კვლევა - ონლაინ კითხვარის მეშვეობით მშობელთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა.
- თანამშრომელთა კვლევა - პირდაპირი და ონლაინ კითხვარის მეშვეობით თანამშრომელთა კმაყოფილების დონის, რეკომენდაციებისა და პრეფერენციის დონის დადგენა.

The school of contemporary education

სტრატეგიული განვითარების გეგმა

მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები

სტრატეგიული მიზნების განხორციელების ვადები

შეფასების მეტრიკა და კრიტერიუმები

#	კრიტერიუმი	1	2	3	4	5


The school of contemporary education

სტრატეგიული განვითარების გეგმა

დანართი №1

სკოლის ორგანოგრამა

სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის ორგანოგრამა



The school of contemporary education

სტრატეგიული განვითარების გეგმა

დანართი №2

სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის ციკლი

ეტაპი	პერიოდი
2015 წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება	
2015-2021 წლების სტრატეგიული გეგმის გადახედვა/ადაპტაცია	
2016 წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება	
2015-2021 წლების სტრატეგიული გეგმის გადახედვა/ადაპტაცია	
2017 წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება	
2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავება	
2018 წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება	
2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავება	
2019 წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება	
2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავება	

